წამახალისებელი გათამაშების მოწყობის პირობები

რეგლამენტი

1. **ინფორმაცია გათამაშების ორგანიზატორის შესახებ**
   გათამაშების ორგანიზატორი : შპს „მონდელიზ საქართველო“, რომელიც არის იმპორტიორი შემდეგი ბრენდებისა: “Milka”, “Alpen Gold”, “Oreo”, “Barni”, “Toblerone”, KORONA, PICNIC, Jubilee, TUK, BELVITA, DIROL, TRIDENT, HALLS, LYUKS, 7DAYS

2. **გათამაშების მიზანი და მიზეზი:**
   გათამაშების მიზანი არის, “Barni”-ს ბრენდის ცნობადობის ამაღლება, და გაყიდვების წახალისება. გათამაშების მოწყობის მიზეზი არის საქართველოს ბაზარზე მზარდი კონკურენცია. აღნიშნული გათამაშება კომპანიის გადაწყვეტილებით განსაკუთრებით საინტერესო იქნება პროდუქტის მომხმარებელი მიზნობრივი აუდიტორიისთვის.

3. **გათამაშების ჩატარების პერიოდი**
   გათამაშების ჩატარების პერიოდი: 1 მაისი 2026 – 03 აგვისტო 2026.

4. **გათამაშების ჩატარების ადგილი**
   გათამაშება ტარდება საქართველოს ტერიტორიაზე, დისტანციურ ფორმატში, Mondelez-ის კომპანიათა ჯგუფის ვებგვერდზე barni.org (შემდგომში — „ვებგვერდი“), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. **გათამაშებაში მონაწილე პროდუქციის ჩამონათვალი**
   გათამაშებაში მონაწილეობს Barni-ს მხოლოდ პრომო პროდუქცია, 150 გრამიანი. დეტალური ჩამონათვალი მოცემულია დანართში N1.

6. **გათამაშება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ყველა სავაჭრო ობიექტებზე, სადაც იყიდება Barni-ს პრომო პროდუქცია.**

7. **პრომო კოდი**
   პრომო კოდი მდებარეობს Barni-ს პრომო პროდუქციის შეფუთვის შიდა მხარეს. პრომო კოდი შედგება 8 სიმბოლოსგან.

8. **გათამაშების მონაწილეები**
   გათამაშებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ სრულწლოვან საქართველოს მოქალაქეს, რომელიც შეიძენს წინამდებარე წესების მე-5 პუნქტში მითითებულ პრომო პროდუქციას და ატვირთავს შესაბამის პრომო კოდს ორგანიზატორის ოფიციალურ ვებგვერდზე barni.org

9. **გათამაშებაში მონაწილეობის პირობები**

გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად მონაწილე ვალდებულია გათამაშების პერიოდში — 01 მაისი 2026 წლიდან 31 ივლისი 2026 წლის ჩათვლით — შეიძინოს წინამდებარე წესების დანართი N1-ში მითითებული პრომო პროდუქცია, დარეგისტრირდეს საიტზე barni.org (მოქმედი მობილური ტელეფონის ნომერით) და ატვირთოს მინიმუმ 1 (ერთი) ცალი პრომო კოდი.

დეტალური ინსტრუქცია:

გათამაშებაში მონაწილე პირი ვალდებულია დარეგისტრირდეს barni.org , სადაც შეძლებს რეგისტრაციას, ვერიფიკაციას, მათ შორის მობილური ტელეფონის ნომრის მითითებას. რეგისტრაციის დასასრულებლად საჭიროა მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი ვერიფიკაციის კოდი. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ მომხმარებელს ენიჭება უნიკალური ნომერი.

პრომო კოდის ასატვირთად მონაწილემ უნდა დააკლიკოს (პირად კაბინეტში) „ატვირთე პრომო კოდი“ და ატვირთოს პრომო კოდი. საიტი ავტომატურად მოახდენს პრომო კოდის გადამოწმებას. მართებული პრომო კოდი მიღებულ იქნება საიტის მიერ ავტომატურად, ხოლო არამართებული პრომო კოდი დახარვეზდება საიტის მიერ ასევე ავტომატურად.

ყოველი 1 ცალი პრომო კოდის წარმატებით ატვირთვის შემდგომ, მონაწილეს აქვს უფლება (თუმცა არ აქვს ვალდებულება) ითამაშოს ინტერაქტიული გასართობი თამაში: „გააცოცხლე გამოსახულება“. ამავდროულად აღსანიშნავია რომ აღნიშნული თამაშის გამოყენება არ იწვევს პრომო კოდების გახარჯვას პრიზებთან (გათამაშებადი თუ გარანტირებული) მიმართებით.

ყოველი 3 ცალი პრომო კოდის წარმატებით ატვირთვის შემდგომ, მონაწილეს აქვს უფლება (თუმცა არ აქვს ვალდებულება) ითამაშოს ინტერაქტიული გასართობი თამაში: „გააცოცხლე ვიდეო“. ამავდროულად აღსანიშნავია რომ აღნიშნული თამაშის გამოყენება არ იწვევს პრომო კოდების გახარჯვას პრიზებთან (გათამაშებადი თუ გარანტირებული) მიმართებით.

შეზღუდვები:

1 ატვირთულ და დადასტურებულ პრომო კოდზე მონაწილეს დაერიცხება 1 ცალი ქულა. ქულების გადაცვლა შესაძლებელია გარანტირებულ პრიზებში. დეტალები იხილეთ მე- 10 პუნქტში.

1 პრომო კოდს უფლება აქვს მოიგოს მხოლოდ 1 ცალი პრიზი ყველა სახეობიდან. მაგალითად მოიგოს, 1 ცალი ყოველკვირეული პრიზი, ასევე მოიგოს 1 ცალი ყოველთვიური პრიზი და ასევე მოიგოს 1 ცალი მთავარი პრიზი.

ასევე, 1 მონაწილეს უფლება აქვს, გათამაშების მთლიანი პერიოდის განმავლობაში,მოიგოს:

- მხოლოდ 1 ცალი ყოველკვირეული პრიზი ასევე
- მხოლოდ 1 ცალი ყოველთვიური პრიზი ასევე
- მხოლოდ 1 ცალი მთავარი პრიზი.

10. **გამარჯვებულის გამოვლენა**

გათამაშებადი პრიზები:
ყველა **გათამაშებადი პრიზის** (ყოველკვირეული/ყოველთვიური/მთავარი) გამარჯვებულების გამოვლენა ხორციელდება შემთხვევითობის პრინციპით, წინამდებარე წესებით დადგენილი პირობების შესაბამისად. გათამაშების ზუსტი თარიღები მითითებულია მე-11 პუნქტში მოცემულ ცხრილში.

გათამაშებადი პრიზების გამარჯვებულები გამოვლინდებიან ელექტრონული აპლიკაციის (პროგრამული უზრუნველყოფის) მეშვეობით შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე. გამარჯვებულებს მყისიერად აესახებათ ინფორმაცია მოგებული პრიზების შესახებ, პირად კაბინეტში, განყოფილაბაში „ჩემი პრიზები“. ასევე, გამარჯვებულების სია გამოქვეყნდება საიტზე, განყოფილებაში: „გამარჯვებულები“, გამოვლენიდან 3 დღის განმავლობაში, სადაც გამოქვეყნდება შემდეგი მონაცემები: გამარჯვებული პრომო კოდი, გამარჯვებული მონაწილის უნიკალური ნომერი, გამარჯვებული მონაწილის ტელეფონის ნომერი (ბოლო 3 ციფრი დაფარული) და მოგებული პრიზი.

გარანტირებული პრიზები:

გარანტირებული პრიზების მიღება, მონაწილის მიერ, ხორციელდება დაგროვილი ქულების გადაცვლის მეშვეობით,მას შემდეგ რაც იგი ატვირთავს პირად კაბინეტში მოქმედ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს (პირადობის მოწმობა ან პასპორტი), კერძოდ:

- 5 ქულის გადაცვლა შესაძლებელია 15 ლარის ბალანსზე (მობილური ტელეფონის).
- 10 ქულის გადაცვლა შესაძლებელია 30 ლარის ნომინალის ვაუჩერის კოდზე
- 15 ქულის გადაცვლა შესაძლებელია 50 ლარის ნომინალის ვაუჩერის კოდზე
- 25 ქულის გადაცვლა შესაძლებელია 100 ლარის ნომინალის ვაუჩერის კოდზე

გარანტირებული პრიზების გადაცვლის შეკვეთა შესაძლებელია ნებისმიერ დროს. რის შემდგომაც მოდერაცია გადაამოწმებს შეკვეთის მართებულებას და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობას პირად კაბინეტში და უახლოეს „ორშაბათს“ ან „ოთხშაბათს“ მოახდენს შეკვეთის დადასტურებას.

შენიშვნა: გარანტირებული პრიზების რაოდენობა შეზღუდულია. მაგალითად 15 ლარის ბალანსს ტელეფონზე მიიღებს პირველი 356 მონაწილე ვინც შეუკვეთავს აღნიშნულ 15 ლარის ბალანსს, შესაბამისად პირველი 104 მონაწილე 30 ლარის ნომინალის ვაუჩერის კოდს, პირველი 52 მონაწილე 50 ლარის და პირველი 13 მონაწილე 100 ლარის ნომინალის ვაუჩერის კოდს. ზუსტი განახლებადი რაოდენობა გამოსახულია ვებგვერდზე. თუკი რომელიმე კონკრეტული

გარანტირებული პრიზის რაოდენობა ამოიწურება, მონაწილეს აღარ აქვს უფლება მოითხოვოს იგი.

11. პრიზების ჩამონათვალი და გათამაშების პერიოდი

გათამაშების ფარგლებში პრიზები იყოფა შემდეგ 2 კატეგორიებად:
პირველი კატეგორია არის: გათამაშებადი პრიზები, მეორე კატეგორია არის: გარანტირებული პრიზები.

გათამაშებადი პრიზები:

ყოველკვირეული პრიზები:
პლანშეტი Samsung SM-X135 Galaxy Tab A11 4/64GB - მთლიანი გათამაშების განმავლობაში 13 ცალი. ერთეულის ღირებულება 486.25 ლარი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით, ჯამური ღირებულება 6 321.25 ლარი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

ყოველთვიური პრიზები:
- 2 500 ლარი ფულადი პრიზი (გამარჯვებულის პირად საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით) - მთლიანი გათამაშების განმავლობაში 3 ცალი. ერთეულის ღირებულება 3 125 ლარი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით, ჯამური ღირებულება 9 375 ლარი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

მთავარი პრიზი:
- 1 ცალი საგზური პარიზში (საფრანგეთი) განკუთვნილი 4 ადამიანზე. კერძოდ 2 სრულწლოვან საქართველოს მოქალაქესათვის და 2 არასრულწლოვან 15 წლამდე, საქართველოს მოქალაქესათვის.

პრიზის ღირებულება: 12 500 ლარი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით,

სამოგზაურო საბუთები, ვიზა და ყველა სხვა საბუთი თუ ხარჯი საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით არის გამარჯვებულის პასუხისმგებლობა.

გარანტირებული პრიზები:

- 15 ლარი ბალანსზე (მობილური ტელეფონის).
მთლიანი გათამაშების განმავლობაში 356 ცალი. ერთეულის ღირებულება 18.75 ლარი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით, ჯამური ღირებულება 6 675 ლარი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.;

- 30 ლარის ნომინალის ვაუჩერის კოდი (ww.wishlist.ge).
მთლიანი გათამაშების განმავლობაში 104 ცალი. ერთეულის ღირებულება 37.50 ლარი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით, ჯამური ღირებულება 3 900 ლარი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით..

- 50 ლარის ნომინალის ვაუჩერის კოდი (ww.wishlist.ge).
მთლიანი გათამაშების განმავლობაში 52 ცალი. ერთეულის ღირებულება 62.50 ლარი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით,ჯამური ღირებულება 3 250 ლარი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით..

- 100 ლარის ნომინალის ვაუჩერის კოდი (ww.wishlist.ge).
მთლიანი გათამაშების განმავლობაში 13 ცალი. ერთეულის ღირებულება 125.00 ლარი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით, ჯამური ღირებულება 1 625 ლარი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

საპრიზო ფონდის მთლიანი ღირებულება შეადგენს **41 771.25** ლარს, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

გათამაშებადი პრიზების საპრიზო ფონდის ღირებულება შეადგენს **28 196.25** ლარს, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

გარანტირებული პრიზების საპრიზო ფონდის ღირებულება
შეადგენს **15 450.00** ლარს, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

ყოველკვირეული გათამაშების დეტალური განრიგი:

გამარჯვებულის გამოვლენის დრო	**პრიზების ჩამონათვალი**
გათამაშება: 11 მაისი 2026. **12:00 საათი.** გათამაშებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის მართებული პრომო კოდები, რომელთა ატვირთვა მოხდა 2026 წლის 01 მაისიდან - 2026 წლის 10 მაისის ჩათვლით.	პლანშეტი Samsung – 1 (ერთი) ცალი.
გათამაშება: 18 მაისი 2026. **12:00 საათი.** გათამაშებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის მართებული პრომო კოდები, რომელთა ატვირთვა მოხდა 2026 წლის 01 მაისიდან - 2026 წლის 17 მაისის ჩათვლით.	პლანშეტი Samsung – 1 (ერთი) ცალი.

გათამაშება: 25 მაისი 2026. **12:00 საათი.** გათამაშებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის მართებული პრომო კოდები, რომელთა ატვირთვა მოხდა 2026 წლის 01 მაისიდან - 2026 წლის 24 მაისის ჩათვლით.	პლანშეტი Samsung – 1 (ერთი) ცალი.
გათამაშება: 1 ივნისი 2026. **12:00 საათი.** გათამაშებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის მართებული პრომო კოდები, რომელთა ატვირთვა მოხდა 2026 წლის 01 მაისიდან - 2026 წლის 31 მაისის ჩათვლით.	პლანშეტი Samsung – 1 (ერთი) ცალი.
გათამაშება: 08 ივნისი 2026. **12:00 საათი.** გათამაშებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის მართებული პრომო კოდები, რომელთა ატვირთვა მოხდა 2026 წლის 01 მაისიდან - 2026 წლის 07 ივნისის ჩათვლით.	პლანშეტი Samsung – 1 (ერთი) ცალი.
გათამაშება: 15 ივნისი 2026. **12:00 საათი.** გათამაშებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის მართებული პრომო კოდები, რომელთა ატვირთვა მოხდა 2026 წლის 01 მაისიდან - 2026 წლის 14 ივნისის ჩათვლით.	პლანშეტი Samsung – 1 (ერთი) ცალი.
გათამაშება: 22 ივნისი 2026. **12:00 საათი.** გათამაშებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის მართებული პრომო კოდები, რომელთა ატვირთვა მოხდა 2026 წლის 01 მაისიდან - 2026 წლის 21 ივნისის ჩათვლით.	პლანშეტი Samsung – 1 (ერთი) ცალი.
გათამაშება: 29 ივნისი 2026. **12:00 საათი.** გათამაშებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის მართებული პრომო კოდები, რომელთა ატვირთვა მოხდა 2026 წლის 01 მაისიდან - 2026 წლის 28 ივნისის ჩათვლით.	პლანშეტი Samsung – 1 (ერთი) ცალი.

გათამაშება: 06 ივლისი 2026. **12:00 საათი.** გათამაშებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის მართებული პრომო კოდები, რომელთა ატვირთვა მოხდა 2026 წლის 01 მაისიდან - 2026 წლის 05 ივლისის ჩათვლით.	პლანშეტი Samsung – 1 (ერთი) ცალი.
გათამაშება: 13 ივლისი 2026. **12:00 საათი.** გათამაშებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის მართებული პრომო კოდები, რომელთა ატვირთვა მოხდა 2026 წლის 01 მაისიდან - 2026 წლის 12 ივლისის ჩათვლით.	პლანშეტი Samsung – 1 (ერთი) ცალი.
გათამაშება: 20 ივლისი 2026. **12:00 საათი.** გათამაშებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის მართებული პრომო კოდები, რომელთა ატვირთვა მოხდა 2026 წლის 01 მაისიდან - 2026 წლის 19 ივლისის ჩათვლით.	პლანშეტი Samsung – 1 (ერთი) ცალი.
გათამაშება: 27 ივლისი 2026. **12:00 საათი.** გათამაშებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის მართებული პრომო კოდები, რომელთა ატვირთვა მოხდა 2026 წლის 01 მაისიდან - 2026 წლის 26 ივლისის ჩათვლით.	პლანშეტი Samsung – 1 (ერთი) ცალი.
გათამაშება: 3 აგვისტო 2026. **12:00 საათი.** გათამაშებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის მართებული პრომო კოდები, რომელთა ატვირთვა მოხდა 2026 წლის 01 მაისიდან - 2026 წლის 31 ივლისის ჩათვლით.	პლანშეტი Samsung – 1 (ერთი) ცალი.

ყოველთვიური გათამაშების დეტალური განრიგი

გამარჯვებულის გამოვლენის დრო	**პრიზების ჩამონათვალი**
გათამაშება: 1 ივნისი 2026. **13:00 საათი.** გათამაშებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის მართებული პრომო კოდები, რომელთა ატვირთვა მოხდა 2026 წლის 01 მაისიდან - 2026 წლის 31 მაისის ჩათვლით.	2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარი ფულადი პრიზი – 1 (ერთი) ცალი.
გათამაშება: 1 ივლისი 2026. **13:00 საათი.** გათამაშებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის მართებული პრომო კოდები, რომელთა ატვირთვა მოხდა 2026 წლის 01 მაისიდან - 2026 წლის 30 ივნისის ჩათვლით.	2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარი ფულადი პრიზი – 1 (ერთი) ცალი.
გათამაშება: 3 აგვისტო 2026. **13:00 საათი.** გათამაშებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის მართებული პრომო კოდები, რომელთა ატვირთვა მოხდა 2026 წლის 01 მაისიდან - 2026 წლის 31 ივლისის ჩათვლით.	2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარი ფულადი პრიზი – 1 (ერთი) ცალი.

მთავარი პრიზის გათამაშების დეტალური განრიგი

გამარჯვებულის გამოვლენის დრო	**პრიზების ჩამონათვალი**
გათამაშება: 3 აგვისტო 2026. **14:00 საათი.** გათამაშებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის მართებული პრომო კოდები, რომელთა ატვირთვა მოხდა 2026 წლის 01 მაისიდან - 2026 წლის 31 ივლისის ჩათვლით.	მოგზაურობა პარიზში - 1 (ერთი) ცალი

12. პრიზის გაცემის წესი

მოგების გაცემის პერიოდი იწყება გამარჯვებულის გამოვლენის დღიდან და გრძელდება არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღისა. პრიზების გაცემა ხორციელდება ქ.

თბილისში, შალვა რადიანის ქუჩა №17, სამუშაო დღეებში, 12:00 საათიდან 17:00 საათამდე.

პრიზის მისაღებად გამარჯვებული ვალდებულია წარადგინოს:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა ან პასპორტი) და გათამაშებაში მონაწილეობისას ატვირთული და გამარჯვებული პრომო კოდის შესაბამისი პრომო პროდუქტის შეფუთვა. მოგების გაცემის ვადა აღნიშნული დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს 6 დღისა.

13. მონაწილეთა თანხმობა

გათამაშებაში მონაწილეობის მიღებითა და ორგანიზატორის ოფიციალურ ვებ-საიტზე რეგისტრაციით, მონაწილე ადასტურებს, რომ:

- სრულად გაეცნო და ეთანხმება წინამდებარე წესებსა და პირობებს (რეგლამენტს).
- აცხადებს თანხმობას მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნების შესაბამისად, მხოლოდ გათამაშების ადმინისტრირების, ჩატარებისა და პრიზების გაცემის მიზნით.

14. **პრეტენზიის წარდგენისა და განხილვის წესი**

- მომხმარებლის მიერ პრეტენზიის დაფიქსირების შემთხვევაში, აღნიშნული პრეტენზია უნდა წარედგინოს წერილობით ფორმაში და გაიგზავნოს საფოსტო გზით შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, შალვა რადიანის ქუჩა 17.

- პრეტენზიაში მომხმარებელი ვალდებულია მკაფიოდ მიუთითოს ის საფოსტო მისამართი, რომელზეც სურს მიიღოს ორგანიზატორის წერილობითი პასუხი.

- ორგანიზატორი ვალდებულია განიხილოს წარმოდგენილი პრეტენზია და მომხმარებელს გაუგზავნოს შესაბამისი წერილობითი პასუხი, მის მიერ მითითებულ მისამართზე, პრეტენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში

დანართი N1 - გათამაშებაში მონაწილე პროდუქციის ჩამონათვალი

გათამაშებაში მონაწილეობს მხოლოდ ის პროდუქცია რომელთა ჩამონათვალიც მოცემულია ქვემოთ:

№	კოდი	დასახელება
1	7622210632050	Barni დათუნია შოკოლადის შიგთავსით 150 გრ. პრომო შეფუთვა
2	7622210632067	Barni დათუნია რძიანი შიგთავსით 150 გრ. პრომო შეფუთვა
3	7622210632043	Barni დათუნია ბანანის შიგთავსით 150 გრ. პრომო შეფუთვა

Mondelez International Internal